განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი
2019 წლის 30-31 ოქტომბერი
დასკვნის წარდგენის თარიღი

თბილისი
2019

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა
განათლების საფეხური	სადოქტორო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია მისი კოდის მითითებით	0222 არქეოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კრედიტების რაოდენობა	180
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი)	აკრედიტებული

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	პროფ. დოქ. სვენ ჰანსენი ფრეის უნივერსიტეტი, ბერლინი, გერმანია
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ასოცირებული პროფესორი დოქ. ემზარ კახიძე, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი
წევრი (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ანი ბილანიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამას აქვს მულტიდისციპლინური პროფილი. იგი არქეოლოგიას აერთიანებს ეპოქისა და მასალის განსაზღვრის სამეცნიერო მეთოდების კურსებთან (ქართველთა ეთნოგენეზი, გეოარქეოლოგია, არქეოლოგიაში სამეცნიერო-კვლევითი მეთოდები, სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი და სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა).
ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტებს საშუალება აქვთ ისაუბრონ მინიმუმ ერთ უცხო ენაზე, უხელმძღვანელონ არქეოლოგიურ გათხრებს, გააკეთონ მონაცემების სრული ჩანაწერი, იმუშაონ ძველ კოლექციებზე, ზედამხედველობა გაუწიონ საჭირო ინტერდისციპლინურ ურთიერთობებს ბუნებრივი და ტექნიკური დარგის მეცნიერებების სხვადასხვა სპეციალისტებთან, დაამყარონ საერთაშორისო ურთიერთობები, შეძლონ თავისი ცოდნის გადაცემა მომავალი თაობისათვის, გამოაქვეყნონ სტატიები სამეცნიერო ჟურნალებში, გაცვლითი პროგრამებით გაემგზავრონ საზღვარგარეთ, მონაწილეობა მიიღონ სამეცნიერო ღონისძიებებში, იმუშაონ უცხოელებთან საქართველოში.
ასევე, უზრუნველყოფილია კარგი საბიბლიოთეკო ჩვეულებრივი და ელექტრონული კავშირები; ადმინისტრაცია ზრუნავს სტუდენტთა დასაქმებაზე დოქტორანტურის შემდეგ.

აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

წინასწარი განხილვისა და დაგეგმვის მიზნით აკრედიტაციის ჯგუფი შეიკრიბა ოთხშაბათს, 30 ოქტომბერს, დღის მეორე ნახევარში. შეხვედრამდე ექსპერტებმა შეფასებისათვის საჭირო ყველა დოკუმენტი მიიღეს და ჰქონდათ დრო, რომ გაცნობოდნენ მათ, ჩამოეყალიბებინათ თავიანთი კითხვები.
31 ოქტომბერის 10 საათზე ჯგუფი კვლავ შეიკრიბა უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის წევრებთან, სადოქტორო პროგრამის პასუხისმგებელ პროფესორებთან, დოქტორანტთა ჯგუფთან და სხვებთან ინტერვიუების ჩასატარებლად. ადგილზე ვიზიტი მოიცავდა ტურს დაწესებულებაში (ობიექტებზე) ბიბლიოთეკაში, აუდიტორიებში, ოფისებში და სხვ.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა შეესაბამება ოფიციალურ სტანდარტებს: პროგრამული უზრუნველყოფის, უცხო ენების დაუფლება, საბუნებისმეტყველო და ტექნიკური მეცნიერებების სწავლების მაღალი დონე, სასწავლო გარემოს კარგი დონე: პროფესორები, ადმინისტრაცია, დამსაქმებლები, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ა.შ.

რეკომენდაციები

ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა, თავისი სამეცნიერო მეთოდების ძლიერი კომპონენტებით არის მდგრადი. თავისი ინტერდისციპლინურობით იგი წარმოადგენს თანამედროვე არქეოლოგიის მომავალს. ინტერდისციპლინური პროფილი ტექნიკურ უნივერსიტეტში საკმაოდ დამაჯერებელია, სასურველია მოხდეს მისი პოპულარიზაცია. ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს კვლევისა და

მომსახურების ცენტრში არქეომეტრიის გაფართოების შესაძლებლობა; მაშასადამე, გეოფიზიკური ძიების მეთოდების (გეომაგნიტიკა, გეორადარი და ა.შ.) ჩართვა არქეოლოგიის სფეროში შემდგომი გამოყენებისთვის. თუმცა, ამისათვის სასწრაფოდ საჭიროა ტექნიკური აღჭურვილობის მოდერნიზება. გარდა ამისა, პროგრამის გასაძლიერებლად, კომისია მტკიცედ გირჩევთ, რომ პროფესორები და სხვა მასწავლებლები მოიწვიოთ ევროპიდან. სასწავლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს გადაუდებელ ამოცანას. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში უფრო ხშირად იქნენ ჩართული ახალგაზრდა ექსპერტები, რომლებიც კარგად იცნობენ უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებსა და მოწყობილობებს (მაგ. პორტატული XRF).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

კომისია თვლის, რომ "ქართველთა ეთნოგენეზის" კურსი უნდა შეიცვალოს იმ აქტუალური საკითხებით, რომლებიც თამაშობენ როლს საერთაშორისო არქეოლოგიაში (მაგ. კულტურული კონტაქტები, სოციალური უთანასწორობა, სამთო არქეოლოგია). ეს, ასევე, მოითხოვს მოსწავლეთა ენობრივი უნარების გაძლიერებას.

საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამა აქტუალურია და შეესაბამება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში სტუ) მისიასა და განვითარების გეგმას. უნივერსიტეტის ღირებულებები ემყარება კრიტიკულ, შემოქმედებით და პროგრესულ აზროვნებას, აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური ეთიკის პრინციპებს, ღია, დინამიურ და გამჭვირვალე ურთიერთობებს. პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომითი ბაზრის მოთხოვნებს მეცნიერებისა და კვლევების მიმართ. მიზნები არის საჯარო, ხელმისაწვდომია დაინტერესებული პირებისთვის და გაზიარებულია პროგრამის დაინტერესებული მხარეების მიერ.

ზოგადად, პროგრამის მიზნები მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. ისინი ასახავენ კურსდამთავრებულთა უნარებს, კვალიფიკაციასა და კომპეტენციებს. დოქტორანტებს საშუალება აქვთ მიიღონ როგორც არქეოლოგიის, ისე საბუნებისმეტყველო საგნების ცოდნა. ამასთან, მნიშვნელოვანია სწავლების და სამეცნიერო ნაშრომის მომზადების ცოდნის შეძენა.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ემყარება თვითშეფასების ანგარიშსა და ინტერვიუებს.
რეკომენდაციები: გადაუდებელი რეკომენდაციაა სწავლების ინტერნაციონალიზაციის გაუმჯობესება.
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

1.2. პროგრამის სწავლის შედეგები
➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს ცოდნას, უნარებს და/ან პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას; ➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი მოიცავს მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს; ➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუ-ის არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის # 69/ნ ბრძანებით დამტკიცებული ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სასწავლო სფეროების კლასიფიკაციით განსაზღვრულ მიზნებთან. პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი რეგულარულად ეცნობა შეფასების შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მეშვეობით. პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრავს ცოდნის, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის ნაკრებს. პროგრამის სწავლის შედეგები ასევე ცხადყოფს, რომ შეფასება შედგება მონაცემების განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზისაგან, ხოლო მისი შედეგები გამოიყენება პროგრამის სრულყოფისთვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ემყარება თვითშეფასების ანგარიშსა და ინტერვიუებს.

რეკომენდაციები: ტექნიკურმა უნივერსიტეტმა უნდა გაითვალისწინოს კვლევისა და მომსახურების ცენტრში არქეომეტრიის გაფართოების შესაძლებლობა. მაშასადამე, გეოფიზიკური ძიების მეთოდების (გეომაგნიტიკა, გეორადარი და ა.შ.) ჩართვა არქეოლოგიის სფეროში შემდგომი გამოყენებისთვის. ტექნიკურ აღჭურვილობას სასწრაფოდ ესაჭიროება მოდერნიზება. გარდა ამისა, კომისია მტკიცედ გირჩევთ პროგრამის გასაძლიერებლად მოიწვიოთ პროფესორები და სხვა მასწავლებლები ევროპიდან. სასწავლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს გადაუდებელ ამოცანას. მნიშვნელოვანია, რომ პროგრამაში უფრო ხშირად იქნენ ჩართული ახალგაზრდა ექსპერტები, რომლებიც კარგად იცნობენ უახლეს ტექნოლოგიურ მიღწევებსა და მოწყობილობებს (მაგ. პორტატული XRF).
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: კომისია თვლის, რომ "ქართველთა ეთნოგენეზის" კურსი უნდა შეიცვალოს იმ აქტუალური საკითხებით, რომლებიც თამაშობენ როლს საერთაშორისო არქეოლოგიაში (მაგ. კულტურული კონტაქტები, სოციალური უთანასწორობა, სამთო არქეოლოგია). ეს, ასევე, მოითხოვს მოსწავლეთა ენობრივი უნარების გაძლიერებას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან x მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან		x		

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ექსპერტთა ჯგუფი თვლის, რომ დაშვების წინაპირობები შეესაბამება სტანდარტულ მოთხოვნებს: გამჭვირვალეობა, საჯაროობა და ხელმისაწვდომობა. დოქტორანტს ეძლევა დოკუმენტების ნუსხა წარდგენის ბოლო ვადების მითითებით, გამოცდების ნუსხა, ხელშეკრულება და ჩარიცხვის ბრძანება.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ემყარება თვითშეფასების ანგარიშსა და ინტერვიუებს.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: სადოქტორო პროგრამაზე არის თავისუფალი ადგილები. გასათვალისწინებელია თუ როგორ შეიძლება პროგრამა გახდეს უფრო მიმზიდველი მეტი დოქტორანტისათვის.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი
პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის სტრუქტურა თანამიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის მინიმალურ სტანდარტებთან ერთად, დოკუმენტები იძლევა სწავლისა და კვლევის კომპონენტების განსაზღვრებას. სასწავლო კომპონენტის მოცულობა 40 ECTS-ია, მათ შორის ძირითადი კურსები 25

ECTS; (სადოქტორო სემინარი - 10 ECTS; პროფესორის ასისტირება - 5 ECTS) + 15 ECTS არჩევითი კურსები, სტუდენტის ინტერესისა და სპეციალობის მიხედვით. კვლევის კომპონენტი მოიცავს სადოქტორო დისერტაციას და დოქტორანტთა ორ სამეცნიერო პროექტს. ძირითად და არჩევით კურსებთან ერთად, მონაწილეობა სემინარებში, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში, პუბლიკაციები რეფერირებად ჟურნალებში აუმჯობესებს სტუდენტების უნარებს. ამ პროცესში გამოყენებული მეთოდები ხელს უწყობს დედუქციური და კრიტიკული უნარების ჩამოყალიბებას და სტუდენტის განვითარებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში და ინტერვიუები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: გათვალისწინებულ უნდა იქნეს არქეომეტრიის გაფართოება კვლევისა და მომსახურების ცენტრში. ეს, ასევე, მოითხოვს მოსწავლეთა ენობრივი უნარების გაძლიერებას: სწავლება ძირითადად ემყარება ქართულ სამეცნიერო ლიტერატურას.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.3 სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ზოგადად, ძირითადი და არცევითი კურსები შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. თვალსაჩინოა მნიშვნელოვნება რომელიც ენიჭება არქეოლოგიის დარგს და ლაბორატორულ ახალ მეთოდოლოგიას. ასევე კავშირს სხვა სამეცნიერო დარგებთან რაც ხელს უწყობს ახალი ცოდნის შექმნას. სტუდენტის ვალდებულება წარმოადგინოს თუნდაც ერთი სადოქტორო სემინარი განიხილება დადებითად ვინაიდან ის იძენს დამატებით ცოდნას საკვლევი თემატიკის გარეთ. პროფესორის ასისტენტობის სავალდებულო კომპონენტი ასევე მიჩნეულია დადებით მხარედ, რაც ასევე ხელს უწყობს მის სამომავლო ტუტორის უნარ-ჩვევების გამომუშავებას. რაც შეეხება სხვა კურსებს, მიჩნეულია რომ ისინი არის ან ძალიან აკადემიური ან შორს არქეოლოგიის დარგისგან, მაშინ როდესაც უფრო აქტუალურია სტუდენტს ჰქონდეს დამატებითი დრო კვლევისათვის.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ემყარება თვითშეფასების ანგარიშსა და ინტერვიუებს.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება x შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამა საშუალებას აძლევს სტუდენტებს შეიძინონ ის უნარები, რომლებიც უზრუნველყოფენ მათი კარიერის წარმატებულ დასაწყისს. პრაქტიკული სამეცნიერო / კვლევითი / კრეატიული / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება სრულ შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან. სტუდენტებს აქვთ გათხრების დიდი არჩევანი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ემყარება თვითშეფასების ანგარიშსა და ინტერვიუებს.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები
პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს,

კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და უზრუნველყოფს პროგრამის შედეგების მიღწევას. აკადემიურ პერსონალთან და სტუდენტებთან არაერთმა დისკუსიამ დაადასტურა შედეგების პროგრესი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ემყარება თვითშეფასების ანგარიშსა და ინტერვიუებს.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით. ის გამჭვირვალეა და შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას ადაპტირებული აქვს სწავლებისა და სწავლის მეთოდები, ისევე, როგორც ევროპული სტანდარტები. უსდ-ს, შეფასების პროცედურების შესაბამისად, ჩამოყალიბებული აქვს სტუდენტთა შეფასების სისტემა. შეფასების კრიტერიუმები პროგრამის სასწავლო და კვლევის კომპონენტებისათვის მკაფიოდაა წარმოდგენილი. სტუდენტთა შეფასება ემყარება მათ მოსწრებას მთელი კურსის განმავლობაში. შეფასების კომპონენტები და მეთოდები შეესაბამება კურსსა და მისი სწავლის შედეგებს. სტუდენტის მიერ სწავლის შედეგების მიღწევის დონე ფასდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ" დამტკიცებული შეფასების სისტემის შესაბამისად. საგანმანათლებლო პროგრამის კრედიტების გაანგარიშება განხორციელებულია გამჭვირვალე მეთოდით, ევროპული კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემის (ECTS) შესაბამისად. დოქტორანტები კურსების დაწყებამდე არიან ინფორმირებულნი შეფასების მეთოდებისა და კრიტერიუმების შესახებ. ასევე, სწავლება-სწავლის მეთოდებისა და ევროპული სტანდარტების ადეკვატურია ინდივიდუალური სადოქტორო კვლევითი პროგრამის ორგანიზაცია და შეფასება, რომლის მიზანია დოქტორანტის გაწვრთნა დამოუკიდებელი კვლევითი პროექტის განხორციელებისათვის, მათ შორის სადოქტორო დისერტაციისათვის. სტუდენტებს შეუძლიათ შეფასების გასაჩივრება უნივერსიტეტში მოქმედი შესაბამისი პროცედურის მიხედვით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ემყარება თვითშეფასების ანგარიშსა და ინტერვიუებს.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის კრიტერიუმების უფრო მკაფიო განმარტებამ შესაძლოა გააუმჯობესოს ზოგიერთი კურსის შეფასება,
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება X შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	x			

3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ეს პროგრამა, ძირითადად, მოიცავს ინდივიდუალურ სადოქტორო თემაზე მუშაობას. ამიტომ, დისერტაციაზე მუშაობისას საკმარისი დრო არსებობს სტუდენტებისთვის კონსულტაციის გაწევისა და დახმარებისთვის. უფრო მეტიც, ამ პროგრამის მრჩეველთა

საბჭო აანალიზებს სტუდენტების პროგრესს და აძლევს მათ ინდივიდუალურ გამოხმაურებას შემდგომი განვითარებისათვის. დოქტორანტების ეს მხარდაჭერა მნიშვნელოვანია მათი გზის წარმართვისთვის დისერტაციის დასრულებისკენ. უნივერსიტეტში დანერგილია საინფორმაციო სისტემა, ადმინისტრაციული დახმარების თანამედროვე ინსტრუმენტი - ელექტრონული საინფორმაციო მომსახურება, რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს თვალი მიადევნონ შეფასების შედეგებს და იურთიერთონ კურსის პედაგოგთან ელექტრონული შეტყობინებების საშუალებით, ასევე, ნახონ აკადემიური ჯგუფების ცხრილი, პედაგოგის ცხრილი, აუდიტორიებისა და ლაბორატორიების დატვირთვის გრაფიკი. სტუდენტებს, ასევე, აქვთ შესაძლებლობა მოიძიონ ინფორმაცია სტუ-ში მიმდინარე პროცესებისა და სიახლეების შესახებ (ადმინისტრაციული საკითხები, სხვადასხვა ადგილობრივი და საერთაშორისო პროექტები და ღონისძიებები და სხვ.).
მტკიცებულებები/ინდიკატორები ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ემყარება თვითშეფასების ანგარიშსა და ინტერვიუებს.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის დოქტორანტებს დიდ დახმარებას უწევენ მათი ხელმძღვანელები. კერძოდ, ხელმძღვანელები აქტიურად ეძებენ სტუდენტებისთვის საზღვარგარეთ დროებითი ვიზიტების შესაძლებლობებს. ეს სწავლის ძალიან მნიშვნელოვანი ასპექტია და სტუდენტებს ეხმარება გააფართოვონ თავიანთი აკადემიური ხედვა და დაამყარონ მათი შემდგომი კარიერისთვის საჭირო კონტაქტები. ხელმძღვანელს აქვს რეგულარული კონსულტაციები დოქტორანტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და კვლევითი თემის სპეციფიკას. ხელმძღვანელი სტუდენტს კვლევის პროცესში რჩევებს აძლევს შემდეგი საკითხების თაობაზე: აცნობს მას კვლევის დიზაინს, კვლევის მენეჯმენტს, დისერტაციის / სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის / დისერტაციის წერის პროცესს, ადგილობრივ და საერთაშორისო აკადემიურ ქსელში ინტეგრაციის პროცესს, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის და შედეგების პრეზენტაციის პროცესებს; სამეცნიერო სტატიების მითითების თავისებურებებს ჟურნალში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ემყარება თვითშეფასების ანგარიშსა და ინტერვიუებს.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			

4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსები
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში;

- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის საჭირო კომპეტენცია. აკადემიური პერსონალი აქტიურად არის ჩართული კვლევებში, ხოლო უნივერსიტეტის პოლიტიკა ხელს უწყობს სამეცნიერო კვლევებს. პროგრამაში მონაწილე აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო პროცესის განხორციელებას, ისევე როგორც სამეცნიერო საშემსრულებლო საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულებას. პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და გამოცდილება შესაბამისია პროგრამის შემუშავებისათვის. იგი პირდაპირ და აქტიურადაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში. პროგრამის სტუდენტებს ემსახურება ადმინისტრაციული პერსონალის საკმარისი რაოდენობა, ამ უკანასკნელთან მათ აქვთ ყოველდღიური კონტაქტი; ადმინისტრაციული პერსონალის ისწრაფვის დააკმაყოფილოს სტუდენტების საჭიროებები და ინტერესები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის CV-ები;
- სილაბუსები;
- პირადი ინტერვიუები;
- თვითშეფასების ანგარიში

რეკომენდაციები:

რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსის ნაკლებობა ვერ უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
∨ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.2 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსოალის პროფესიული განვითარება

- დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს;
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ადმინისტრაცია სისტემატურად უზრუნველყოფს აკადემიური პერსონალის ტრენინგს; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი აქვეყნებს მონოგრაფიებსა და სამეცნიერო ჟურნალებს, რომლებშიც პროფესორებსა და სტუდენტებს საშუალება აქვთ გამოაქვეყნონ თავიანთი სამეცნიერო ნაშრომები. ასევე, ტარდება ყოველწლიური სამეცნიერო კონფერენციები, რომელშიც აკადემიურ პერსონალთან ერთად მონაწილეობას იღებენ გამორჩეული სტუდენტები. აკადემიური პერსონალი, თავისი პროფესიული ინტერესის შესაბამისად და უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით მონაწილეობს საერთაშორისო კონფერენციებში.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ადმინისტრაციული დოკუმენტაცია; o ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განხორციელებული კვლევის მასალები. o მატერიალური და ტექნიკური ბაზა; o სტუდენტებისა და ლექტორების მიერ შევსებული კითხვარები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): აკადემიურ პერსონალს და სტუდენტებს შეუძლიათ თავიანთი პროფესიული ინტერესის შესაბამისად გამოაქვეყნონ მონოგრაფიები და სტატიები უნივერსიტეტის ფინანსური მხარდაჭერით.
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.3. მატერიალური რესურსი
პროგრამა უზრუნველყოფილია იმ აუცილებელი ინფრასტრუქტურითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მისაღწევად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამას უზრუნველყოფილია შესაბამისი საბიბლიოთეკო, მატერიალური, ტექნიკური და ფინანსური რესურსებით; სტუდენტების თქმით, მათ ნებისმიერ საჭირო ლიტერატურაზე აქვთ წვდომა; უნივერსიტეტს აქვს კარგად აღჭურვილი აუდიტორიები და ოფისები, სარესტავრაციო, კამერალური და გეოლოგიური ლაბორატორიები.
მტკიცებულებები/ინდიკატორები

o საკლასო ოთახები, ოფისები; o ლაბორატორიები: o ბიბლიოთეკა: o გასაუბრებები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა
პროგრამის/ ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსები შეესაბამება სწავლის მიზნებს და აკმაყოფილებს პროგრამის საჭიროებებს. უნივერსიტეტი სრულად დაფარავს პროგრამისა და პრაქტიკის განხორციელებისათვის საჭირო არქეოლოგიური და ტექნიკური ლაბორატორიების მოვლა-პატრონობის ხარჯებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ფინანსური გეგმა; o აღჭურვილობის ამსახველი დოკუმენტაცია და არქეოლოგიური ტესტების განახლება; o გასაუბრებები.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის:
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	X			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის გასაუმჯობესებლად პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მომსახურებებს და ასევე, პერიოდულად ახორციელებს პროგრამის მონიტორინგსა და მიმოხილვას. რეგულარულად ხდება საჭირო ინფორმაციის მოპოვება, გაანალიზება და გამოყენება გააზრებული გადაწყვეტილების მისაღებად და პროგრამის განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხი
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს უსდ-ს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა სამსახურთან პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის დაგეგმვაში, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებასა და შეფასების შედეგების ანალიზში. პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მონაწილეობას იღებდა სასწავლო პროგრამების და სასწავლო კურსების სილაბუსის შეფასებაში. სამსახური ატარებს კონსულტაციებს სხვადასხვა პერსონალთან და სტუდენტებთან, რათა შეამოწმოს მთლიანი ხარისხი და კმაყოფილება; განსაკუთრებული აქცენტი კეთდება აკადემიური კონტაქტების გაუმჯობესებაზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები გასაუბრებები
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: როგორც უკვე აღინიშნა, სასწავლო პროგრამის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს გადაუდებელ ამოცანას. მნიშვნელოვანია აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა საქმიანობის ამ სფეროში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

შეფასება √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.2 გარე ხარისხის შეფასება
პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საუნივერსიტეტო დონეზე ხარისხის გარე შეფასების მექანიზმებია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესი. პროგრამის აკრედიტაციის შემდეგ პროგრამის შიდა მონიტორინგის მექანიზმი უნივერსიტეტში რეგულარულად მოდიფიცირდებოდა და უმჯობესდებოდა. ამ შემთხვევაში რეაკრედიტაცია წარმოადგენს განხორციელებული ცვლილებების შემოწმების საშუალებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების დებულება.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის: ჩვენ მიგვაჩნია, რომ ხარისხის სამსახური ზედმეტად ცენტრალიზებულია, ამიტომ დროთა განმავლობაში მიზანშეწონილი იქნება ფაკულტეტისთვის ამ მიმართულებით მეტი ფუნქციების გადაცემა. ეს დაეხმარება უნივერსიტეტს ჩაატაროს სტუდენტებისა და ლექტორების კმაყოფილების გამოკითხვა, რაც კიდევ უფრო გამოკვეთავს პროგრამის ძლიერ და სუსტ მხარეებს.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება
პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით, ინფორმაციის სისტემატური შეგროვებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კარგად იმუშავა პროგრამის დიზაინის პროცესში, მაგ. ყველა ჩართული პირის რეკომენდაციების გათვალისწინებით მომზადდა ახალი სილაბუსები; პროგრამა შეფასდა და გაუმჯობესდა კითხვარების საშუალებით. გაიზარდა კურსდამთავრებულთა და სტუდენტთა რაოდენობა კომიტეტის შემადგენლობაში. მოეწყო შეხვედრები, გაიმართა სამუშაო ჯგუფები და სტუდენტთა გამოკითხვები. ყოველივე ეს იძლევა ძლიერი მხარეებისა და გასაუმჯობესებელი სფეროების იდენტიფიცირების საშუალებას. შემდგომ, ახალი წინადადებები წარუდგინეს დაინტერესებულ მხარეებს და მათთან ერთად განიხილეს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები o წარმოდგენილი კითხვარები, ანალიზების შედეგები; o ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესების დებულება; o ინტერვიუები დამსაქმებლებთან; o ინტერვიუები კურსდამთავრებულებთან.
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისათვის: მიზანშეწონილი იქნებოდა ცვლილებების შეტანა ძირითად და არჩევით კურსებში და ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობის გაძლიერება პროგრამის შემუშავების პროცესში.
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)
შეფასება √შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ შეესაბამება მოთხოვნებს

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	X			

თანდართული დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება: არქიტექტურის სადოქტორო პროგრამა

ანგარიშის გვერდების რაოდენობა: 20

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები მკაფიოდაა განსაზღვრული და მიღწევადია; ისინი შესაბამისობაშია უსდ-ს მისიასთან და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს		x		
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების ადეკვატური შეფასება	x			
3. სტუდენტთა მიღწევები და მათთან ინდივიდუალური მუშაობა	x			
4. სასწავლო რესურსებით უზრუნველყოფა	x			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	x			

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე

სვენდ ჰანსენი

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრ(ებ)ი

ემზარ კახიძე

ანი ბილანიშვილი